ქ.თბილისში დუტუ მეგრელის #2/ ღვინის აღმართი#8- ში მდებარე შპს „თამარიონის“ მფლობელობაში არსებული სამსართულიანი სახლის მდგრადობის კონსტრუქციული დასკვნა

ჩემს მიერ (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი: ა. მჭედლიშვილი) შესწავლილი იქნა ღვინის აღმართზე არსებული სამსართულიანი სახლის კონსტრუქციული მდგრადობა. სახლის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კერამიკული აგურის კაპიტალური კედლები, რომელიც განთავსებულია სავარაუდოდ ბუტო-ბეტონის საძირკვლის ლენტაზე და ფუძედ ძირითადი ქანებია მიღებული. სახლის სართულშუა გადახურვა მოწყობილია ხის კონსტრუქციებით. II სართულია გადახურვაზე სველი წერტილების ადგილებში მოწყობილია რ/ბ-ის მონოლითური მონაკვეთები. სასხვენე გადახურვა ხისაა, ხის კოპნსტრუქციებითვეა მოწყობილი.

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე წლის წინ ამ შენობას ჩაუტარდა გამაგრებითი-სარეაბილიტაციო სამუშაოები. დღეისთვის შენობა კარგ მდგომარეობაშია, არ გააჩნია ჯდომითი, მოცურებითი ან სეისმური დეფორმაცია, სართულშუა გადახურვებიც დამაკმაყოფილებელია და მისი მზიდი კონსტრუქციები სრულიად დაუზიანებელი. აღსანიშნავია, რომ შენობას ჩაუტარდა გამაგრებითი-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვიზუალური დათვალიერებით და ასევე გეოლოგიური კვლევის მასალებიდან დადგინდა, რომ საძირკვლები დამჯდარია ძირითად ქანებზე, ქვიშა-ქვებისა და არგელიტების შრეებზე, რაც მყარი და საიმედო ფუძეა ყველანაირი საძირკველისათვის. შენობა განთავსებულია ქანობზე და ასეთი შენობებისათვის დამახასიათებელია საძირკვლების მოცურების მოვლენა, რაც იწვევს შემდგომ კედლებზე ბზარების წარმოქმნას. მსგავსი მოვლენა არსებულ კედლებზე არ შეიმჩნევა.

ყოველივე ზემოდან გამომდინარე ვასკვნი

დასკვნა:

არსებული სამსართულიანი შენობის მზიდი კონსტრუქციები კარგ მდგომარეობაშია და უსაფრთხოა ექსპლოატაციისათვის.

კონსტრუქტორი: ა. მჭედლიშვილი

26.03. 2020 წელი